ს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია. წელიწადი პირველი. გრძოლაში ჰპოვეს შენს უფლებას!

შაბათი, 5 ოქტომბერი 1918 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრთა

№ 44

გაზეთის ფასი 40 კაპ.

ბულგარეთში გერმანია-ავსტრიის ჯარი ჩავიდა. დასავლეთ ფრონტზე მოკავშირეთა წინსვლა გრძელდება.

ორგანო საქართველოში მოქმედ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 9 მან. ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი 1 მან., მეოთხეზე 80 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: *Тифлисъ, Контора Газ. „Шрома“, Баронская ул.* № 16. სხვა მისამართით გამოგზავნილფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება 10—11 საათამდე.

რედაქციის მისამართი: *Тифлисъ Редакція газ. „Шрома“ Баронская ул.* № 16.

მიიღება ხელის მოწერა უოველ-დღიურ გაზეთ

„ფრთა“-ზე

გაზეთი ღირს ერთი თვით 9 მანეთი.

მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 16 გაზეთ „შრომის“ კანტორა.

...ქიმი ი. კ. აბაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

...განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულ-...ტერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ...ილტვების აპკისა, გულისა და ჯირ-...კვლებისა.

...მოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყო-...ელ გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულო-...ბისა და მალარიისა.

...ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა ...კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე.

...ეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86

...ქ. თბილისი, 5 ოქტომბერი.

...ეროვნულმა საბჭომ უკვე მიიღო კანო-...ნი საქართველოს პარლამენტში ენის ხმა-...ების შესახებ. სახელმწიფო ენათ აღი-...არებულია ქართული ენა. საქმის წარ-...მოებაც ამ ენაზე უნდა მოხდეს. კანონის ...ძალით ეროვნულ უმცირესობათა წარმო-...მადგენელთ „სახელმწიფო ენის უცოდი-...ნრობის გამო შეუძლიათ სიტყვა წარ-...მოსთქვან დედა ენაზე“.

...საბჭომ უარყო ჩვენი შესწორება, რომ ...ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგე-...ნელთ მისცემოდათ. დედა ენაზე ლა-...პარაკის უფლება, რაც გულისხმობს ...ეთნაირ პირობებს, რომლებიც უნ-...და შექნას საკანონმდებლო ორ-...განომ, რათა ეროვნულ უმცირესობათა ...წარმომადგენლებმა მართლა ისარგებ-...ლონ დედაენაზე ლაპარაკის შესაძლებ-...ლობით.

...ასეთი არის თარჯიმანების საკითხი ...დედა ენაზე წერილობით წინადადების ...თუ რეზოლიუციის შეტანა და სხვა.

...მიღებული კანონის ძალით ეროვნულ ...უმცირესობათა წარმომადგენელთ შეუძ-...ლიათ დედა ენაზე მხოლოდ სიტყვა ...წარმოსთქვან. თუ როგორ უნდა ავიც-...ნიოთ თავიდან აქ მოსალოდნელი და-...ბოკოლებანი—ამის დეტალური გამომუ-...შავება უნდა მოხდეს ცალკე რეგლამენ-...ტით.

...ამ ნაირად საქართველოს პარლამენტ-...ში სხვადასხვა ენების ხმარების საკითხი ...ჯერ კიდევ არ არის სავსებით გამორ-...კვეული. საქმეს ართულებს აგრეთვე იმ ...დეპუტატების მდგომარეობა, რომლებსაც ...არ შეუძლიათ სიტყვის წარმოთქმა არც ...სახელმწიფოებრივ ენაზე და არც თავის ...დედაენაზე.

...როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევა-...ში საკანონმდებლო ორგანო?

...ეროვნულმა საბჭომ იცნო ორი ენა: ...სახელმწიფოებრივი და დედა ენა. სახელ-...მწიფოს აქვს თავისი ენა, რომელზედაც ...იმართება პარლამენტები, კამათი და სა-...ქმის წარმოება. ამავე დროს ეროვნულ ...უმცირესობათა წარმომადგენელთ ეძლე-...ოთ საშუალება სიტყვა წარმოსთქვან თა-...ვის დედა ენაზე. თუ სახელმწიფოებრივი ენა არ იციან ჩვენ ვფიქრობთ, რომ რეგლამენტმა აუცილებლად უნდა შექნას ისეთი პირობები, რომ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელთ მიეცეს სრული საშუალება ისარგებლონ თავისი დედაენით. ამისთვის აუცილებლათ საჭირო იქნება თარჯიმანები და სხვა.

მართალია ეს ადვილი არ არის. ის მოითხოვს ზედმეტ ხარჯებს და პარლამენტის მუშაობასაც რამდენიმედ გააჭიანურებს, მაგრამ ეს უნდა შევძლოთ, თუ კი ეროვნულ უმცირესობათა ენის უფლება, რომელიც უკვე აღიარებულია, მარტო ლიტონი სიტყვა არ არის.

რაც შეეხება მოთხოვნილებას, რომ თუ საბჭოს წევრმა არც სახელმწიფო და არც თავის დედაენა იცის, უნდა ილაპარაკოს იმ ენაზე, რომელიც მას ეხერხებაო—ახირებულად და უსაფუძლოთ მიგვაჩნია. ეს მოთხოვნილება არ არის დემოკრატიული, რადგან დემოკრატიამ თავისი დედა ენა ყოველთვის უკეთესად იცის, ვიდრე რომელიმე სხვა ენა. დემოკრატიული პრინციპი მოითხოვს, რომ უმცირესობას ჰქონდეს უფლება თავის დედა ენაზე ილაპარაკოს ჩვენც ეს უფლება პრაქტიკულად უნდა უზრუნველჰყოთ.

მოთხოვნილება, რომ დეპუტატმა იმ ენაზე ილაპარაკოს, რომელიც მას უფრო ეხერხება და მოსწონს, დემოკრატიული კი არა, თუ გნებავთ—არისტოკრატიული და ანარქისტულია მას ჩვენ მხარს ვერ დაუჭერთ, რადგან ორიოდე ინტელიგენტის პირად ინტერესებს, დემოკრატიის ინტერესებზე მაღლა ვერ დავაყენებთ!..

პრესა.

გაზეთ „საქართველოს“ არ მოსწონს სასურსათო საქმის ორგანიზაციის ის გეგმა, რომელიც მთავრობამ უკანასკნელ ხანებში მიიღო და სწერს:

„უნდა აშკარად ითქვას, ეს არ არის ახალი გეგმა, ახალი წესი, პირიქით რეორგანიზაცია სასურსათო უწყებისა მოხდენილია იმ გეგმით, რომელმაც უკვე დაგვანახა თავისი უნიადაგობა, უაზრობა და მიზანშეწონილობა. დაარსდა საბჭო, რომელსაც არა მარტო სათათბირო, არამედ გადამწყვეტი ხმა აქვს. ეს საბჭო სამინისტროს გარეშეა, და მხოლოდ მისი თავმჯდომარე მთავრობის აზრით უნდა ინიშნებოდეს სასურსათო მინისტრის მიერ. წევრებად არიან ქალაქის, კოოპერატივების, სახალხო გვარდიის და კიდევ რამდენიმე დემოკრატიული დაწესებულებათა და აგრეთვე სამი სამინისტროს წარმომადგენელნი“.

როგორც მოსალოდნელი იყო „საქართველო“ ვერ ინელებს ახალ სასურსათო ორგანიზაციაში დემოკრატიის ფართო მონაწილეობას და დასძენს:

„რევოლიუციურ ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეუძლიათ მხოლოდ კანტროლი და რევიზია გაუკეთონ სხვის ნამოქმედარს ან სხვის საქმიანობას, მაგრამ მათ არ აქვთ არც გამოცდილება, არც ცოდნა და არც ძალა საქმის შექმნისა, დაყენებისა და გაძღოლისა“.

მაშ. როგორ უნდა მოეწყოს „საქართველოს აზრით სასურსათო საქმე? აი როგორ: მთავრობამ უნდა მიმართოს გერმანიის მაგალითს მის სასურსათო საბჭოების და კომიტეტების ორგანიზაციას, რომელსაც „საქართველო“ ასე ახასიათებს:

მათი შემადგენლობა ასეთია: წევრების რიცხვი ერთ ნაწილს არა ნაკლებ ნახევარს შეადგენენ, ამ საქმის სპეციალისტები ვაჭრები და მრეწველები, და მეორე ნაწილს არა უმეტეს ნახევრისა შეადგენენ მთავრობის და სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

აი თურმე საქმე რაში ყოფილა! თუ სასურსათო ორგანიზაციაში ვაჭრები და მრეწველები შევიდენ ეს დიდი საკითხი მოწესრიგდება, ყველაფერი კარგათ წავაო.

თუ ვაჭრები და მრეწველები, ესე იგი სპეკულიაციის მთავარი ბურჯნი, სასურსათო ორგანიზაციას სათავეში მოექცენ, თურმე ეს საქმეს გამოაკეთებს და ხალხს შიმშილისა და სიძვირისაგან იხსნის!

შემდეგ გაზეთი სწერს:

„გზათა მინისტრმა ისიც კი ბრძანა, ყველა ვაჭრები და მრეწველები სპეკულიაციით არიან გამსჭვალულნი და საზოგადო საქმისა და სამშობლოს სიყვარულისთვის თავს არ იტკენენო. მას შემდეგ რაც ამ სპეკულიაციაში ჩაიბნენ არა ერთი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი „მოღვაწეები“ სოციალისტები და მოსოციალისტე ელფერისა, ვფიქრობთ, რომ ამგვარი განცხადება მთავრობის წარმომადგენელის მიერ მეტად მოუფიქრებელია“.

ამნაირად „საქართველოს“ აზრით სპეკულიაციას თურმე ვაჭრები და მრეწველები კი არ ეწევიან, არამედ... სოციალისტები!

ამას ამბობს ის ჯგუფი, რომელმაც „ტყავისა და პრობკის ისტორიით საკუთარ პარტიას თავი მოსჭრა!“ (იხ. „კლდე“ № 1).

სწორედ ამაზე იტყვიან: ჩემი შენ გითხარი გული მოგიკალიო!

დეპეშები

მოსკოვი, 2 ოქტომბერი. ბეჭდის ბიუროს ბიულეტენები ც. აღ. კ,.. (გამოტოვებულია)... თათბირში შეიყვანენ შულგინი, ლვოვი და პოლოვცევი. დონისა და ყუბანის კონტრ-რევოლიუციონერთა შორის უთანხმოებაა. **ნიკოლაევში** დადგა სამწუხარო დღეები, შემოღებულია სამხედრო წესები, იქ გაგზავნილია ახალი სამხედრო ძალები; ეშინიათ გაფიცვის.

სოფიიდან იტყობინებიან, რომ ბულგარეთის მინისტრთა საბჭომ ხელი მოაწერა დეკრეტს ბულგარეთის მიერ ომში ჩარევის შემდეგ ყველა დაჭერილთა და გასამართლებულთა პატიების შესახებ.

პალესტინის ფრონტი. იორდანის აღმოსავლეთით წამოვიყვანეთ ტყვეთ 1.000 ოსმალო.

ბერლინი. ბულგარეთში გაგზავნილია ალბანიიდან პეფლანცერის და ვალტინის მეთაურობით ავსტრია-გერმანიის ჯარები. იყო ცნობა, რომ სოფიის სამხრეთით ბრძოლაა. უსათუოთ ბრძოლა აჯანყებულ ბულგარეთის ჯარებთან.

ბერლინი. კონსერვატიული პრესა აგიტაციას ეწევა ბულგარეთის შინაურ საქმეებში ჩარევის სასარგებლოთ. გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა ძალით წინააღუდგეს ბულგარეთს დროებითი ზავის ჩამოგდებაა და ზავიო მოლაპარაკების წარმოებაში.

ბუდაპეშტი. ბულგარეთის არმიის ყოფილმა მთავარსარდალმა ენერალ ანოვმა განაცხადა რომ ბულგარეთში იყო ერთგვარი მღელვარება და ამით ისარგებლა მტერმაო.

ბერლინი. სოფიიდან იტყობინებიან, რომ გერმანია-ავსტრიის ჯარები ჩამოვიდენ შაბათს. იმათ უნდა ჩააქრონ შინაური არეულობაო. ხმებია, რომ შესდგება დროებითი კაბინეტი, რომელშიც შევლენ რამდენიმე ენერალიო.

პეტროგრადი. ქალაქის საბჭოს ყოფილ შენობაში მოხდა ლასალის ძეგლის, სადღესასწაულო კურთხევა, რომელიც გაკეთებულია სინაევსკის მიერ. დღესასწაულზე იყვენ წარმომადგენლები; ჩრდილოეთ ოლქის კომუნის ცენტრალურ ბიუროს, პროფესიონალურ კავშირის პრეზიდიუმის, საბჭოს, სასწავლებელთა და კულტურულ-განმანათლებელ ორგანიზაციათა.

ბერლინი, 1 ოქტომბერს გაიხსნა ავსტრიის რეიხსტაგი. მინისტრ-პრეზიდენტის სიტყვას ჩეხები პროტესტებით შეხვდენ. სიტყვები გერმანიის ერთგულების შესახებ შეწყვეტილ იქნა ხმებით: „შორს გერმანია“. ნემცებმა უპასუხეს ხმებით გერმანიის პატივსაცემათ. საქმე თითქმის ჩხუბამდე მივიდა. გრძელდება ბურჟუაზიულ პარტიების შინაური უთანხმოება.

ბერლინი. უხუცესთა საბჭო იკრიბება რეიხსტაგის მოწვევის საკითხის გასარჩევათ.

„ბერნილერ ცაიტუნგ“ იტყობინება, რომ მაკსი შადენელი ცდილობს შეადგინოს მთავრობა, რომელშიდაც უნდა შევიდენ პროგრესისტები, ცენტრი და ს.-დემოკრატები.

ბერლინი. ფონ-პაიერის (?) უარის თქმის შემდეგ, უმრავლესობა შეჩერდა მაკს შადენელის კანდიდატურაზე. პრინცი დასთანხმდა კანცლერის პოსტის მიღებას იმ პირობით, თუ მის პროგრამას მხარს დაუჭერს უმრავლესობა. სამინისტრო უნდა იყოს პარლამენტარული. პრინცის პროგრამა არ არის გამოქვეყნებული. ლიბერალური პრესა სიხარულით ეგებება პრინცის კანდიდატურას.

ინგლისის სამხედრო ცნობა. ლონდონი, 2 ოქტომბერი. ვერდენის მთელ ფრონტზე იმარჯვებენ მოკავშირეები. ბელგიის ფლანდრიაში გუშინ ბელგია-ინგლისის ჯარები აწარმოებდენ შეტევას რულლერის მიდამოებზე, გადაჭრეს რა გზა რულლერ-მენიკა, ემუქრებიან მენიკას. დუე-კამბრე-სენ-კანტენის ფრონტზე ინგლისელების ჯარებმა დაიკავეს პროვილი, ტილუა და იბრძვიან კამბრეს მიდამოებში. ინგლისელებმა დაიკავეს ლებეკე, ლეკენსეი, ტორინი და აგრეთვე მემენ-დე-დამის სამხრეთით. იტალიელებმა დაიკავეს ოუპირი. შამპანში არგონის აღმოსავლეთით ფრანგების და ამერიკელების ჯარებმა საგრძნობათ წაიწიეს წინ. ფრანგებმა მიაღწიეს მენტუას.

მთავრობაში.

მთავრობამ ღაადგინა:

მუშტაიდის ბაღი გადავიდეს ქალაქ თბილისის ხელში იმ დრომდე, სანამ ამას საქართველოს მთავრობა საჭიროდ დაინახავს.

— **გაეხსნა ფინანსთა მინისტრს** ათ მილიონიანი ფონდიდან 9166 მანეთი 66 კაპ. კრედიტი თბილისის სახაზინო პალატის სადგომის ქირის გასასტუმრებლათ.

— **გაეხსნა ფინანსთა მინისტრს** 20,050 მანეთი კრედიტი ათ მილიონიან ფონდიდან, საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების მიმდინარე წლის ხარჯების დასაფარავათ.

— მიწათ მოქმედების მინისტრის კანონპროექტი მინერალურ წყლების, სახელმწიფოს განკარგულებაში გადასვლის შესახებ მოწონებულ იქნა და დადგენილ იქნა კანონ-პროექტი გადაეცეს გასარჩევათ ეროვნულ საბჭოს.

— შაქარზე ერთდროულ გადასახადის შემოღების შესახებ, მოწონებულ იქნა და დადგენილ იქნა გადაეცეს განსახილველად ეროვნულ საბჭოს.

ახალი ამბავი

— **მოსამსახურეთა კოოპერატივი.** საქართველოს ეროვნულ საბჭოს მოსამსახურეთა საერთო კრება კოოპერატივის დაარსების შესახებ. კრებამ დაადგინა დაარსოს ეკონომიური საზოგადოება. მე 14 მუხლში წესდებისა, რომლითაც წევრად შესვლის უფლება ჰქონდა მარტო ეროვნულ საბჭოს წევრს და ეროვ. საბჭოს კანცელარიის მოსამსახურეს, კრებას შეაქვს ცვლილება და ადგენს: ეკონომიურ საზოგადოების წევრებად შეუძლიათ იყვნენ ეროვნულ საბჭოს, მთავრობის და სამინისტრო დაწესებულებათა მოსამსახურენი. საპაიო გადასახადი დადგენილი იქნა 50 კ. საწევრო 5 მ. არჩეულ იქნა დრ. გამგეობაში შემდეგ პირთაგან: 1. ი. ჯაფარიძე, 2. ს. ჟორჟოლიანი, 3. ი. ლასხიშვილი, 4. ბ. ლეჟავა, 5. ე. მაისურაძე. კანდიდატ. ს. ბ. გამსახურდია, დ. ნახუცრიშვილი, ქ-ნი ქავთარაძე, საქმის მწარმოებლათ გ. ბოჰორიძე.

— **უბედური შემთხვევა.** სამშაბათს 1 ოქტომბერს სადგურ ძირულასთან მატარებელს უცაბედათ ქვეშ მოყვა ხილის გამყიდავი ბავში 10—12 წლისა; მატარებელმა ორივე ფეხები მოსწყვიტა ბავშს; დასახიჩრებული იმავ დღეს ქუთაისში საღორიის საავათმყოფოში მოათავსეს.

— **დღეს,** 5 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ შენობაში (მიხ. ქ. № 91) მოხდება ქართულ განყოფილების ყველა ლექტორთა კრება: საბოლოოთ ლექციების გასაწესრიგებლათ.

— გენ. მაზნიევი და ევგ. გეგეჭკორი ეკატერინოდარიდან ჩამოვიდა თბილისში.

— ბონების დამზადებელ ექსპედიციის ერთი გამძარცველი, გვარათ ვეხულია დაიჭირეს სოფ. ბანძაში, რომელსაც აღმოაჩნდა 32000 მანეთი.

— დღეს საღ. 8 საათ. კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება გ. ტაბიძის საღამო.

— 5, 6 და 7 ოქტომბერს მოხდება ყველა უმუშევართა აღწერა.

— კვირას, 6 ოქტომბერს 12 საათზე, ფრეილინის ქუჩა № 11 ქართულ-გერმა-

ნელ საზოგადოებაში შესდგება სექცია ბ. თილოვან ვესტერაგენის შემდეგ თემაზე: ეკონომიური ვითარება ევროპაში ომის მიერ შექმნილ პირობებში და კავკასიის მნიშვნელობა ომის შემდეგ. ლექციის თან სდევს ბუნდოვანი სურათები. ლექციის შემდეგ კამათი.

შეცდომის გასწორება

წერილში „ერიდა ბურჟუაზია“ („შრომა“ № 43) დასტამბულია: სოციალიზმი **მეცნიერული ცნობა** სრულებითაც არაა, უნდა იყოს: სოციალიზმი **მექანიური ცნება** სრულებითაც არაა.

სენაკის მაზრის პირველი საერობო ერილობა.

სენაკის მაზრა.

პირველობა ერობის მოწყობაში ბედმა ჩვენ მაზრას არგუნა.

15 სექტემბერი ისტორიული დღე იქნება ჩვენი თვითმართველობისთვის. კრებას ხსნის დილის 11 საათზე აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე გ. მაღნარაძე, რომელიც მხურვალე სიტყვით მიმართავს ყრილობას და უსურვებს მას ნაყოფიერ მუშაობას.

დღიური წესრიგია. ყრილობის თავმჯდომარის, ერობის გამგეობის წევრთა და მისი თავმჯდომარის არჩევა და მათი ჯამაგირები. უკანასკნელი საკითხი იწვევს ხანგრძლივ კამათს. ჩვენი ფრაქცია იცავს ჯამაგირის მინიმუმს, რადგან ეშინია, რომ სანამ ხალხს ჩვენი მუშაობის ნაყოფი არ უნახავს, მანამ ვაი თუ დიდ ჰონორარმა არასასურველი ნაყოფი მოგვიტანოს. რადგან ფრაქციათა შორის ამ საკითხის გარშემო შეთანხმება არ მოხდა. ამოარჩიეს კომისია, რომელსაც მიენდო ამ საკითხის გარჩევა.

მეორე დღეს ხმოსნები ისმენენ კომისიის მოხსენებას, სადაც სჩანს, რომ უმრავლესობას გადაუწყვეტია გამგეობის თავმჯდომარისთვის თვეში 1500 მ. გამ. წევრისთვის კი 1000 მ.

ჩვენ კი ვთხოულობდით გამგ. თავმჯდომარისთვის 900 მ. და წევრთათვის კი 800 მ. თვიურათ. კრება ამტკიცებს პირველ წ ნადადებას. კრების თავმჯდომარეთ აირჩიეს გ. მაღნარაძე, რომელსაც წლიურათ დაუნიშნეს 8000 მანეთი. ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ სიტყვა ეძლევათ ფრაქციათა წარმომადგენელთ. პირველი სიტყვა ეკუთვნის ჩვენი ფრაქციის წარმომადგენელს პეტრე ბავისაძეს, რომელიც ყრილობას მიმართავს შემდეგი სიტყვებით: პატივცემულნო ერობის წევრნო! ნება მიბოძეთ ს.-რევოლიუციონერთა ფრაქციის სახელით მოგესალმოთ თქვენ, როგორც სენაკის მაზრის ბატონპატრონთ. ამიერიდან მთელი მართვა-გამგეობა მაზრისა თქვენს ხელში გადადის, რადგან რევოლიუციის ხანაში ნაშრომ კომიტეტებმა, საბჭოებმა და სხვ. რევ. ორგანიზაციებმა, ასე თუ ისე უკვე შეასრულეს თავიანთი მოვალეობა და თქვენ, როგორც ნამდვილ დემ. პრინციპზე არჩეულთ გეკუთვნით მთელი ძალა-უფლება ჩვენ გვწამს, რომ თქვენ მთელი ენერგიით ცოდნით და გამოცდილებით მუშაობის და მაზრის აწეწილ-დაწეწილ საქმეს მოაწესრიგებთ. კარგათ მოგეხსენებათ, რომ დღეს ყოველი დარგი ცხოვრებისა დანგრეულია და სრულიად ახალ საფუძველზე მოითხოვს დაუყონებლივ აშენებას. ჩვენ მუდამ დიდს იმედს ვამყარებდით დემოკრატიულ პრინციპზე არჩეულ თვითმართველობათ და ასეთ დროში კი, როგორც ახლაა, ერობა მიგვაჩნია მხოლოთ ჩვენი რესპუბლიკის დემოკრატიული არსებობისათვის. აშკარაა, თუ ჩვენ შევძელით სოფლის განკურნება მისი ნაკლულოვანებისაგან, ამით ჩვენ დიდ სამსახურს გაუწევთ არა მარტო ერთ მაზრას, არამედ მთელ საქართველოს რესპუბლიკას, რადგან ჩვენ ვართ ნაწილი, სახელმწიფო ორგანიზმისა. რასაკვირველია შრომა გვჭირია დიდი. ჩვენი ფრაქციის აზრით სამი დიდი საკითხია გადასაწყვეტად მოსაწყობი.

პირველი საკითხია ეკონომიურ-კულტურულათ მაზრის აყვავება ამაში ჩვენ ვგულისხმობთ გზებისა და ხიდებს, საავთომყოფოებისა და შკოლების გაკეთებ-აშენებას. მეურნეობის რიგიან საფეხურზე დაყენებას. დაწერილებით ზემო დასახელებულ საკითხების შესახებ ზედმეტათ მიმაჩნია ბევრი საუბარი. ყველას კარგათ მოგეხსენებათ თუ რა გვჭირია. საკმარისია ახალ სენაკიდან ძველ სენაკამდი იმგზავროთ. რომ ჩვენი უგზოობა მთელი თავისი სიდიდით წარმოიდგინოთ საავთომყოფოებს და უფასო წამლებს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდე ქსენონს) სრულიად მოკლებულია ჩვენი მაზრა და ამის გამო დიდი გაჭირვება. გლეხი ხარჯს გაურბის და ექიმი მთლათ სიკვდილის კარამდე მისულ ავათმყოფთან მიყავს.

ყველა ხომ აქამდი რუსიფიკაციას ემსახურებოდა დღეს კი სრული ნაციონალიზაცია უნდა გავატაროთ და მასთან პირველ დაწყებითი სწავლა უნდა იყოს უფასო და სავალდებულო. მეორე საკითხია: ადმინისტრაცია და სასამართლოს მოწესრიგება, სადაც ეს ორი დაწესებულება კოპლობს იქ ნორმალური ცხოვრება წარმოუდგენელია, რომ მარტო სახელის გამოცვლა არ კმარა ეს უკვე წელიწად ნახევარია პრაკტიკიდან ვიცით. ბოროტ-მოქმედება, როგორც ძველათ, ისე ახლაც მძვინვარებს. ყოველი დაწამული პიროვნება სასამართლოში უნდა იქნას მიცემული, ადმინისტრატიულათ უდანაშაულოთ დასჯილნი კი განთავისუფლებულნი. სასამართლოც, ეს უპირველესი იარაღი ხალხის ბატონობის თვითმართველობისგან უნდა ირჩეოდეს.

მესამე საკითხი: წვრილი ერთეულების მოწყობა სოფლათ, ვინაიდან თუ სამაზრო გამგეობა არ ეყოლა პატიოსანი და მუყაითი ამსრულებელი იმ შემთხვევაში ყოველი ცდა გამგეობისა ამაოა.

მაშ, ბატონებო, ჩავსჭიდოთ ერთმანეთს ხელი და ზემო დასახელებული საკითხები რაც შეიძლება მალე და რიგიანათ გავატაროთ ცხოვრებაში. ამის შემდეგ კრებას ულოცავს გლეხთა საბჭოს სახელით პირტახია, ხოლო ქალაქის სახელით რ. გამსახურდია ს. დ. დეკლარაციას კითხულობს ი. სალაყაია, ხ. ფ. კი ი. კეკელია.

ნ—ლი.

გერმანელეგის მისია გულგარეთის შესახებ.

გერმანულ დელეგაციის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარის ცუგმაერის განცხადებით, გაზეთებში მოთავსებულია დეპეშები, თითქოს ბულგარეთი სეპარატიული ზავით შეკვროდეს სამთა შეთანხმების სახელმწიფოთ, მტკნარი სიცრუეა და სრულებით სინამდვილეს არ შეეფერება. ეს დეპეშა აღნიშნულია ბ. ეკენისთვის თარიღით, ხოლო მისიას აქვს სამხედრო ცნობა, 1 ღვინობისთვის თარიღით აღნიშნულია, სადაც ლაპარაკია ბულგარელთა სამხედრო მოქმედების შესახებ. ამის გარდა შეუძლებელია, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩვენს დიპლომატიურ მისიაში რაიმე ამის დაგვარი ცნობა არ მოსულიყოს.

მალინოვის გამოსვლას, მართალია, ჰქონდა ადგილი, მაგრამ სოფიაში ბულგარეთის ეროვნული კრება გაიხსნა და იმ ცნობებით, რომელიც ჩვენა გვაქვს, მას მხარი არ დაუჭერია.

როგორც ჩვენ ყველანი, აგრეთვე ჩვენი დელეგაციის მეთაური მალინოვის გამოსვლას, მის კერძო გამოსვლათ ვთვლით, რომელსაც აზრათ ქონდა სახელმწიფოს ნაწილობით გადატრიალება მოეხდინა. მაგრამ ეს წადილი არ შეუსრულდა.

გენერალ ფონ-კრესს მოსვლია ცნობა, რომ ავსტრიის იმპერატორს უკვე მისვლია მეფე ფერდინანდისაგან დეპეშა, რომელიც სრული გაბათილებაა აქ გავრცელებული ხმების.

მორჩაძის რაზმი.

— საწირიდან სადგურის უფროსი ლექვინაძე დეპეშით ატყობინებს გზათა სამინისტროს: 30 ენკენისთვეს დღის 10 ს. უტელეგრამოთ მოვიდა სადგურ ხრესილიდან წყვილნომრიანი ორთქლმავალი ერთი ვაგონით, რომელშიც იმყოფებოდა მორჩაძის ყაჩაღთა ბრბო, რომელიც მოედო სადგურს, ეძებდა სადგურის უფროსს და ტელეგრაფის მოხელეს, მაგრამ ჩვენ მოვასწარით დამალვა. შეიპყრეს რამდენიმე გარეშე პირი და თან წაიყვანეს ტყიბულისკენ. უბედურება მგზავრთა შორის არ მომხდარა.

— იმავე თავდასხმის შესახებ ქუთაისის გუბერნიის კომისარის ამხანაგი გრიგოლია შინაგან საქმეთა მინისტრს ატყობინებს შემდეგს: „30 ენკენისთვეს ბალშევიკების ბრბოს მეთაური მორჩაძე რამდენიმე ყაჩაღებთან ერთად სადგურ ხრესილის სამილიციო სადარაჯოს დაეცა, იარაღი აჰყარა, როგორც მათ ისე ტყიბულის მილიციონერებს. მოჰკლეს სამრეწველოს კომისარი ნიქარაძე. სამრეწველოებზე მშვიდობიანობაა. ზომები მიღებულია.

ხმა სოჭიდან.

მთავრობამ სოჩიდან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: 30 სექტემბერს სოჭაში შესდგა მრავალ რიცხვოვანი ქართველთა კრება.

გაირჩა კითხვა საქართვ. მთავრობის წარმომადგენელის გეგეჭკორის და გენ. მაზნიევის ერთის მხრით და ყუბანის მთავრობის წარმომადგენელისა და მოხალისეთა რაზმის შესახებ. გაეცნო რა კრება საქმის ნამდვილ ვითარებას—დაადგინა: მიმართოს ეროვნულ საბჭოსა და რესპუბლიკის მთავრობას შემდეგი პეტიციით:—

„ქართველ მცხოვრებთ სწამთ თავისი რესპუბლიკის ძალა და მიიღებს ყოველ ღონეს რესპუბლიკის დასაცავათ, ვინაიდან ალექსეევის მოხალისეთა რაზმი, რომელმაც დაიკავა სოჭის ოლქი—მუდამ მტერი იქნება საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის“. ეს პეტიცია მიღებულ იქნა ერთხმად.

გოლგარია და გერმანია.

30 სექტემბრის თარიღით ბერლინიდან იუწყებიან შემდეგს: ბოლგარიამ შეკრა სეპარატიული ზავი შეთანხმების სახელმწიფოებთან იმ პირობით, რომ ის გასწყვეტს ყოველივე კავშირს გერმანიასთან და კერძოთ წინააღმდეგი იქნება გერმანიისა და ოსმალეთის შორის მიმოსვლის აღდგენისა.

მცირე შენიშვნა საჭირბოროტო საკითხზე.

აგერ ერთ თვეზე მეტი იქნება, რაც მთავრობამ 1896,1897 და 1898 დაბადებულთა მობილიზაცია გამოაცხადა. უკანასკნელ ვადათ იმათთვის, ვისაც ეს მობილიზაცია ეხებოდა, უნდა ყოფილიყო de officio 10 სეკტემბერი, თუმცა ქუთაისის გუბერნიაში de facto მობილიზაცია მხოლოდ 10-ს შემდეგ დაიწყო. ზოგიერთ ადგილებიდან სხვადასხვა გაზეთების კორესპონდენტები იუწყებიან: ახალგაზდები ბლომად ცხადდებიან, დიდის ხალისით მოდიან“-ო და სხვა.

ასეთი ცნობები თებერვლიდან დაწყებული უხვად ამშვენებდა სხვადასხვა ორგანოებს, თუმცა სამწუხაროთ, თვით მთავრობის განცხადებები შემდეგ ფარდას ხდიდენ უნუგეშო მწვავე სინამდვილეს.

როგორ უყურებს ხალხი დღევანდელ მობილიზაციას? გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ხალხის დამოკიდებულება ამ საკითხთან სასტიკად უარყოფილია; ამ ომის დროს ხალხის თავზე დატეხილი უბედურება ომში მრავლად დაღუპულ და სამუდამოდ დასახიჩრებულ ხალხის შვილთა მაგალითი საუცხოოდ ასურათებს ხალხის თვალში მობილიზაციას. ეს სხვათა შორის.

ჩვენ არ დაგვისახავს მიზნათ აღვნიშნოთ მობილიზაციის უარყოფითი თუ დადებითი მხარეები, ანდა რამდენად სამართლიანი და სწორია ხალხის შეხედულება მობილიზაციაზე, ჩვენ მიზნათ გვაქვს შევეხოთ გაკვრით იმას, თუ რამდენად მიზანშეწონილია ის საშუალებები, რომელსაც მთავრობა, მიმართავს მუდმივი ჯარის შესადგენად.

წინდაწინვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ახლანდელ მობილიზაციაში 1899 წელს დაბადებულთა გაუწვეველობა მობილიზაციის კანონის პლიუსია ხალხის თვალში, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ხალხი ასე „ჩივის:“ „თუ ვილუპებით და საჭიროა ძალა, ძუძუმწოვრები კი არ უნდა წაიყვანონ, არამედ ვაჟკაცები; ისინი ტყვილა ვერაფერს გააკეთებენ და ზარალის მოტანა თუ შეუძლიათო“. ეს მოსაზრება არსებითად მართალია, მას ძველი რეჟიმის დროსაც მიაქციეს ყურადღება და მთავრობამაც კარგი ქნა, რომ 1899 წელს დაბადებულნი არ გაიწვია სამხედრო სამსახურში...

მაგრამ დეკრეტს მობილიზაციის შესახებ აქვს ერთი დიდი ნაკლი, რომელიც სამართლიანად იწვევს ხალხის გულისწყრომას, სახელდობრ ის დებულება, რომელიც ამბობს რომ ოჯახური მდგომ. გამო შეღავათი აღარავის მიეცემაო. ხალხი ასე მსჯელობს: ძველი რეჟიმი, რომელსაც ეს სოციალისტები ასე აძაგებენ, ისიც კი აქცევდა ომამდი ოჯახის მდგომარეობას ყურადღებას და ოჯახს მარჩენალს უტოვებდა; ახლა ომი არ არის, მაშ ეს ჩვენი მთავრობა, რათ შვრება ასეთ საქმეს?“

ამას ლაპარაკობს უწინარეს ყოვლისა მარჩენალს მოკლებული ოჯახი და რაც აღსანიშნავია, მას მტკიცედ და ერთსულოვნად მხარს უჭერს სხვაც მეზობელ-მახლობელი, ვინაიდან უპატრონოთ დარჩენილი ოჯახი მათთვის ზედმეტ ბარგათ ხდება.

როდესაც წელს მარტში მობილიზაცია ხდებოდა. მიმღებ კომისიებთან შეგროვილ ხალხში ყოველ ნაბიჯზე გაიგონებდით: „ოჯახს მარჩენალს უტოვებენ, გარჩევა და სამართალი ჭარისო“,— ეს კი უნდა გვახსოვდეს, დიდი ზნეობრივი ძალა იყო მთავრობის დეკრეტის სასარგებლოთ და ეხლა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზნეობრივი ძალა ხალხის თვალში დეკრეტს აღარ გააჩნია.

ამ სტრიქონების დაწერის შემთხვევა ქონდა მუშათა საბჭოს დავალებით სხვა სოციალისტურ პარტიათა წარმომადგენლებთან ერთად სოფლად გაემართა კრებები, ხალხისთვის დღევანდელი მდგომარეობა და მთავრობა გაეცნო და ხალხის მოთხოვნილება და ჭირ-ვარამი მუშათა საბჭოს საშვალებით მთავრობისათვის ეცნობებინა და არ ყოფილა არც ერთი სოფელი, სადაც **ერთხმათ** არ მოეთხოვოთ, ოჯახურ მდგომარეობას მიაქციოს მთავრობამ ყურადღება, თუ ის ჩვენი მთავრობაა.

რამდენათ ვიცით, ირაკლი წერეთელსაც ზემო-იმერეთში ყოფნის დროს სათანადო შუამდგომლობა აღეძრა ამის შესახებ, სადაც ჯერ არს; ვიცით აგრეთვე, რომ ერთ მუშათა საბჭოსაც უნდოდა ამაზე ხმის ამოღება.

ჩვენ არ ვიცით მოქ. ირ. წერეთელმა რამდენათ შეასრულა დანაპირები, არც ის ვიცით რა ქნა იმ მუშათა საბჭომ, მხოლოდ ვიცით, რომ ეს საქმე საჭირბოროტო და მწვავე მოუგვარებელია და ხალხის უკმაყოფილების წარმომშობ წყაროთაა ქცეული.

ამას არ შეგვიძლია არ დაუმატოთ ერთი შენიშვნაც:

ყოველმა გაწვეულმა, თან სამი დღის საგზალი უნდა წამოიღოს. როცა სოფელი შიმშილით იყო შეწუხებული, მაშინ ხომ ეს ადგილი პირდაპირ აღიზიანებდა ხალხს, და არც ახლა—არის საქმე უკეთესს მდგომარეობაში. მართალია, ახალმა მოსავალმა მოუსწრო ხალხს და სამი დღის საგზლის შოვნა შეიძლება არც ისე გაუჭირდეს ხალხს, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ზომას ათწილ მეტი ზიანი მოაქვს მთავრობისთვის, ვინემ სარგებლობა.

„თუ სამი დღის საზრდო აღარ მოეპოვება მთავრობას, მაშ რიღასი მთავრობაა, ან როგორ გამოკვებავს ის ჯარსო“— ჩვეულებრივად მსჯელობს ხალხი. თუ ამას დავუმატებთ იმ გარემოებას, რომ ჯარში გაწვეულნი წერილებში სისტემატიურად უთითებენ საჭმელის ნაკლებობაზე და შინიდან თხოულობენ დახმარებას, უნდა ვაღიაროთ, რომ „სამი დღის საგზალს“ თავისებური გაშუქება ეძლევა ხალხის თვალში...

ჩვენ არ ვიტყვით, რომ ამ მუხლების უქონლობა გამოიწვევს ყველას გამოცხადებას თავის ნებით, ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ეს ბევრად ხელს შეუწყობს მთავრობის განკარგულების სისრულეში მოყვანას.

ამ შემთხვევაში (განსაკუთრებით პირველი დებულების შესახებ) ჩვენ ვამბობთ. რომ ეს მოთხოვნილება ხალხისა სამართლიანია და თუ მთავრობას სურს არა თუ სიტყვით, არამედ საქმითაც დემოკრატიული იყვეს, სხვათა შორის, მას არ შეუძლია, ხალხის ასეთ სამართლიან მოთხოვნილებას ანგარიში არ გაუწიოს; ათას **დემოკრატიულ დეკლარაციაზე ერთი დემოკრატიული პრაკტიკიული ნაბიჯი უფრო სწევს მთავრობის პრესტიჟს ხალხის თვალში, და მთავრობის ავტორიტეტს ამაგრებს.** ეს საანბანო ჭეშმარიტებაა, ისე როგორც საანბანო ჭეშმარიტებაა ის, რომ დემოკრატიულმა მთავრობამ დემოკრატიის სამართლიან მოთხოვნილებას ანგარიში უნდა გაუწიოს.

საჭიროა ასეთ შემთხვევაში მტკიცეთ გვახსოვდეს ის დებულება, რომელიც პირველად ესერებმა წამოაყენეს: „ყველაფერი ხალხისთვის, ხალხისავე საშუალებით“. ეროვნულმა საბჭომ და მთავრობამ აუცილებლად ყურადღება უნდა მიაქციონ ამ დეფექტებს და სათანადო ზომები უნდა მიიღონ, რათა რევოლიუციის მონაპოვართა და რესპუბლიკის დაცვის საქმე არ დაბრკოლდეს, კანონის არა მიზანშეწონილი მუხლების მეოხებით არ შეფერხდეს.

ბ. ჩ—ვა.

რუსეთი.

— ეკ. ა. ა. სდომიანზე მოსკოვის საბჭოში გადაეცა ტროცკის მელსაც ოვაციებით შეეხდენ. ტროცკის განცხადებამ საომარ მოქმედების შესახებ ენტუზიაზმი გამოიწვია.

— ომსკიდან იტყობინებიან, რომ ჩეხების სარდლათ დანიშნულია ფრანგი კანი, რომელიც მოდის რუსეთში.

— უკრაინის მთავრობამ მიიღო ანონი პურის მონოპოლიის შესახებ და ვალდებულება სახელმწიფო საწყობებში პურის მოგროვებისა.

— ბოლშევიკების ცნობით მეორე სათათბიროს წევრი ეფრემოვი მოკლულია გლეხებისაგან სტავროპოლის რაიონში.

— უფაში სახელმწიფო საბჭოსთან ერთად გაიხსნა სრულიად რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის საბჭო. მისასალმებელ სიტყვებში გამოსჭვივოდა ერთი მეტივი-წყურვილი სამხედრო დიქტატურისა და ჯარის შექმნა, რომელიც იქნება მესაკუთრეთა საძირკველი.

ამერიკა

სოციალისტების გაძლიერება.

კიევი. სოციალისტების გავლენა ნიუიორკში იმდენათ ძლიერია, რომ რესპუბლიკანელები შევიდენ კავშირში პოლიტიკურ-ყაჩაღურ „ტამანი—ხოლის“ კამპანიასთან, რომელიც ეფარება დემოკრატებს მიზეზი—შიში მომავალ არჩევნების შედეგისა ამერიკის კონგრესში.

„დემოკრატები“ და რესპუბლიკანელები მხარს უჭერენ ერმთმანეთს იმ ოლქში, რომელიც ითვლება სოციალიზმისა და პაციფიზმის კერათ.

ელჩი ლიტვინოვი.

ქრისტიანია. როგორც. ლონდონიდან იტყობინებიან ლიტვინოვი განთავისუფლებულია სატუსაღოდან და დაბრუნდა თავის ბინაზე. მაგრამ იმყოფება ისევ პოლიტიკურ ზედამხედველობას ქვეშ.

ჩინეთი.

კანტონის რესპულიკა

— საბჭოთ ჩინეთში დაარსდა პროვინციალური თვითმართველობის ორგანოები, რომელნიც არჩეულია საყოველთავო საარჩევნო წესით. მათი მოღვაწეობა გაერთიანებულია ამ ორგანოების დელეგატების საბჭოთ, რომელიც იმყოფება კანტონში. კანტონის საბჭო (უკანასკნელ კანტონის დამფუძნებელი კრება) წინააღუდგა პეკინის მთავრობას და პარლამენტს და გამოიმუშავა ახალი კონსტიტუციაც, რაზედაც ბერლინის გაზეთების სიტყვით დიდი გავლენა მოახდინა ბოლშევიკურმა კანონმდებლობამ ჩინეთის უცხოთაგან დამოუკიდებელმა, პოლიტიკამ და სახელმწიფო წყობილების ფედერატიულმა პრინციპმა. მიუმხრო კანტონის საბჭოს სამრძნობი ნაწილი ჩრდილოეთ ჩინეთის მცხოვრებთა.

— პეკინის პარლამენტმა აირჩია პოლ ხინდენტათ ხაიმ-ჩე-ჩანგა.

„სიფრთხილეს თავი არ სტკივა.“

პროფ. ცუგმაერმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა შემდეგი:

„გენერალმა ალექსეევმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ის ნეიტრალიტეტს დაიჭერს, როგორც გერმანეთის, ისე შეთანხმების კოალიციის მიმართ. მისი მიზანია, მხოლოდ რუსეთის ბოლშევიკებისაგან განთავისუფლება და კავკასიის მართ არავითარი აგრესიული მიზნები არა აქვს.

მიუხედავათ ამისა სიფრთხილეს თავი მაინც არ სტკივა. ჩვენ ვფიქროფთ, რომ იმ შემთხვევაშიაც გენ. ალექსეევმა კავკასიის დაპყრობა რომ მოინდომოს, ბ. კარგათ უნდა იცოდეს, რომ აქ მას სერიოზული ომი მოელის და დიდი ხნის ბრძოლაც დასჭირდება და არა მგონია, რომ ეს მისი მიზნებისათვის ხელსაყრელი იყოს.

ყოველ შემთხვევაში რაიმე ამის მგზავრობაც ადგილი რომ ჰქონდეს, გერმანელები საქართველოსთან ერთად იქნებიან და ყოველივე წადილი, ვისგანაც არ უნდა იყოს ეს, საქართველოს წინააღმდეგ მომართული სასტიკ შეიარაღებულ წინააღმდეგობას ჰპოვებს გერმანულ ჯარებისა მხრით.

სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი— ცენტრალური კომიტეტი.

თბილისი, სტამბა „ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობა“, გოლოვინის ქუჩა № 26